ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.თბილისი

N 245
02/11/2021

245-01-4-202111021504

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 29 აგვისტოს N 148 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 29 აგვისტოს N 148 ბრძანებაში და ბრძანების N1 და N2 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან კარანაძე

დირექტორი

ხელმძღვანელობა

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა, ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და ვადები

1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ				
N	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები	სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება	ინფორმაციის მიწოდების ვადები
1.1	სააგენტოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	მომდევნო სამუშაო კვირას
1.2	სააგენტოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	მომდევნო სამუშაო კვირას
1.3	სააგენტოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფენ სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები კომპეტენციის შესაბამისად, ხოლო ინფორმაციის შეგროვებას და ერთიან ფორმატში დამუშავებას უზრუნველყოფს ადმინისტრაციული დეპარტამენტი	არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მარტისა
1.4	სააგენტოს მიერ მიერ შემუშავებული სტრა-ტეგიები და სამოქმედო გეგმები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	ცვლილებიდან/განახლებიდან მომდევნო სამუშაო კვირას
1.5	სააგენტოს დირექტორის და მისი მოადგილეების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	ცვლილებიდან მომდევნო სამუშაო კვირას
1.6	სააგენტოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახუ-რის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში

2. საჯარო ინფორმაციის გვერდი				
2.1	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონის ნომერი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	ცვლილებიდან მომდევნო სამუშაო დღეს
2.2	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	მომდევნო სამუშაო კვირას
2.3	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.4	სააგენტოს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქარ-თველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	არაუგვიანეს ყოველი წლის 15 იანვრისა
2.5	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
3. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანის საკადრო უზრუნველყოფის შესახებ				
3.1	სააგენტოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედე-გები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	მომდევნო სამუშაო კვირას
3.2	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოში კონკურსის ჩატარების წესებს	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
3.3	სააგენტოში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდე-რულ ჭრილში	ქვეყნდება კვარტალურად	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
4. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ				
4.1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
4.2	სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელე-	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში

	ბული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით			
4.3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	ქვეყნდება კვარტალურად
4.4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	ქვეყნდება კვარტალურად
5. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ				
5.1	სააგენტოს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	განახლებადია ცვლილების შემთხევაში
5.2	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	წლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
5.3	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
5.4	ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
5.5	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
5.6	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
5.7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
5.8	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	ქვეყნდება ცვლილების შემთხვევაში	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	ქვეყნდება ცვლილების შემთხვევაში
5.9	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში

	ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად			
5.10	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება ცვლილების შემთხვევაში	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	
5.11	ინფორმაცია სააგენტოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	----------	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	
5.12	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	----------	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	
5.13	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ	----------	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 10 დღეში
6. სამართლებრივი აქტები				
6.1	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული სააგენტოს საქმიანობასთან	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში	ნორმატიული აქტის მიღების/არსებულ ნორმატიულ აქტში შესული ცვლილებების შესახებ ადმინისტრაციულ დეპარტამენტს აცნობებს პროექტის ავტორი სტრუქტურული ერთეული. ადმინისტრაციული დეპარტამენტი უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების განთავსებას/განახლებას	ინფორმაციის მიღებიდან იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს
6.2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, სააგენტოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში	სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში

			დეპარტამენტი / ბრძანების პროექტის შემმუშავებელი ტექნიკური დეპარტამენტი	
7. სახვა საჯარო ინფორმაცია				
7.1	სააგენტოს სერვისების შესახებ ინფორმაცია	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	ცვლილების განხორციელებიდან 10 დღის ვადაში
7.2	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება სააგენტოს მიერ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი	მომდევნო სამუშაო დღეს
7.3	სტატისტიკური ინფორმაცია საჰაერო მიმოსვლის შესახებ	განახლებადია ყოველწლიურად	სტატისტიკური მონაცემების მომზადებას და მოწოდებას უზრუნველყოფს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტი, ხოლო ინფორმაციის გამოქვეყნებას/განახლებას ადმინისტრაციული დეპარტამენტი	ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის (წელი, კვარტალი) დასრულებიდან 15 დღის განმავლობაში
7.4	რეგულარული რეისების ფრენის განრიგი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ფრენის განრიგების მომზადებას და მოწოდებას უზრუნველყოფს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტი, ხოლო ინფორმაციის გამოქვეყნებას/განახლებას ადმინისტრაციული დეპარტამენტი	ქვეყნდება ზამთრის და ზაფხულის სანავიგაციო სეზონების ფრენის განრიგების დამტკიცებიდან 15 დღის განმავლობაში

დანართი N2

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმატით მოთხოვნის სტანდარტი

1. საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა პირმა, ადმინისტრაციულმა ორგანომ და საქათველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია.
2. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა უნდა გამოიგზავნოს სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთან ელ. ფოსტის მისამართზე: office@gcaa.ge.
3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას უნდა ახლდეს:
   ა) ინფორმაციის მომთხოვნის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი;
   ბ)ინფორმაციის მომთხოვნი იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი; გ) მითითება საჯარო ინფორმაციის მიღების სასურველი ფორმის შესახებ: ელ. ფოსტის საშუალებით, მატერიალური სახით თუ დედანის გაცნობის გზით.
4. სააგენტოს მიერ არ განიხილება მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევით წრმოდგენილი ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.
5. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ვადების ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის დღიდან.
6. თუ მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი გაგზავნა ელექტრონული ფორმით, სააგენტო ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს ამის თაობაზე და თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს მისი გაცემა სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 20 თებერვლის N43 სსიპ-სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს „დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული საქმისწარმოების ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად.
7. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული აღნიშნულ სტანდარტში, წესრიგდება საქართველოს კანონით „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით.